

შპს "ძმები"

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ძირითადი საშუალებები.....	12
5. მარაგები	12
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
7. ფული და ფულის ექვივალენტები	13
8. სასესხო ვალდებულებები.....	13
9. ამონაგები	14
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11. ფინანსური რისკების მართვა.....	14
12. პირობითი ვალდებულებები.....	15
13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	16
14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	192 164	201 927
არამატერიალური აქტივები		0	0
მოთხოვნა გრძელვადიან სესხებზე		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	192 164	201 927	211 690
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	5	2 297 961	1 804 811
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	102 364	92 749
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები		53 528	130 065
გადახდილი ავანსები	6	35 336	316
ფული და ფულის ექვივალენტები	7	42 192	40 269
სულ მიმდინარე აქტივები	2 531 381	2 068 210	1 707 417
სულ აქტივები	2 723 545	2 270 137	1 919 107
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
სხვა რეზერვები		306 627	0
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		746 897	584 721
სულ კაპიტალი	1 053 524	584 721	703 216
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	716 595	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	716 595	0	0
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		276 923	618 842
მიღებული ავანსები		2 507	2 308
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	669 864	1 061 265
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4 132	3 001
სულ მიმდინარე ვალდებულებები	953 426	1 685 416	1 215 891
სულ ვალდებულებები	1 670 021	1 685 416	1 215 891
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2 723 545	2 270 137	1 919 107

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მოწმობის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 აგვისტოს.

გიორგი ბუთხაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

ანზორ ცხვირაგაშვილი

ბუღალტერი

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

5-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი მონაცემები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	9	3 904 208	3 600 374
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3 321 439)	(3 099 246)
მთლიანი მოგება		582 768	501 128
ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები		(0)	(0)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(0)	(0)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(198 119)	(209 154)
ფინანსური შემოსავალი		0	0
ფინანსური ხარჯი		(120 546)	(79 617)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(102 963)	(48 951)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		1 036	12 225
მოგება დაბეგვრამდე		162 176	175 631
მოგების გადასახდი		0	0
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		162 176	175 631
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		0	0
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		162 176	175 631

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მისი მოქმედების სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 აგვისტოს.

გიორგი ბუთხაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

5-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ანზორ ცხვირავაშვილი

მუდალტერი

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

შენიშვნა	სხვა რეზერვები და დაფინანსება	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	104 126	599 090	703 216
სულ წლის სრული შემოსავალი		175 631	175 631
გადახდილი დივიდენდები		(190 000)	(190 000)
რეზერვების შემცირება	(104 126)		(104 126)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	584 721	584 721
სულ წლის სრული შემოსავალი		162 176	162 176
გადახდილი დივიდენდები		(0)	(0)
რეზერვების ზრდა	306 627		306 627
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	306 627	746 897	1 053 524

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მართლმართის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 აგვისტოს.

გიორგი ბუთხაშვილი

ანზორ ცხვირავაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი

ბუღალტერი *ანთი სხილაშვილი*

2020 წლის 20 აგვისტო

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

5-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	4	192 164	201 927	211 690
არამატერიალური აქტივები		0	0	0
მოთხოვნა გრძელვადიან სესხებზე		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		192 164	201 927	211 690
მიმდინარე აქტივები:				
მარაგები	5	2 297 961	1 804 811	1 444 366
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	102 364	92 749	81 038
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		0	0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები		53 528	130 065	149 889
გადახდილი ავანსები	6	35 336	316	110
ფული და ფულის ექვივალენტები	7	42 192	40 269	32 014
სულ მიმდინარე აქტივები		2 531 381	2 068 210	1 707 417
სულ აქტივები		2 723 545	2 270 137	1 919 107
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი:				
სხვა რეზერვები		306 627	0	104 126
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		746 897	584 721	599 090
სულ კაპიტალი		1 053 524	584 721	703 216
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სასესხო	8			
ვალდებულებები		716 595	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		716 595	0	0
მიმდინარე ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		276 923	618 842	205 091
მიღებული ავანსები		2 507	2 308	1 840
მოკლევადიანი სასესხო	8	669 864	1 061 265	1 007 089
ვალდებულებები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4 132	3 001	1 871
სულ მიმდინარე ვალდებულებები		953 426	1 685 416	1 215 891
სულ ვალდებულებები		1 670 021	1 685 416	1 215 891
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 723 545	2 270 137	1 919 107

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 აგვისტოს.

გიორგი ბუთხაშვილი

ანზორ ცხვირავაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი -----

ბუღალტერი -----

2020 წლის 20 აგვისტო

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

5-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	9	3 904 208	3 600 374
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3 321 439)	(3 099 246)
მთლიანი მოგება		582 768	501 128
ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები		(0)	(0)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(0)	(0)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(198 119)	(209 154)
ფინანსური შემოსავალი		0	0
ფინანსური ხარჯი		(120 546)	(79 617)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(102 963)	(48 951)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		1 036	12 225
მოგება დაბეგვრამდე		162 176	175 631
მოგების გადასახდი		0	0
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		162 176	175 631
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		0	0
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		162 176	175 631

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 აგვისტოს.

გიორგი ბუთხაშვილი

ანზორ ცხვირაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი -----

ბუღალტერი -----

2020 წლის 20 აგვისტო

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

5-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

შენიშვნა	სხვა რეზერვები და დაფინანსება	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	104 126	599 090	703 216
სულ წლის სრული შემოსავალი		175 631	175 631
გადახდილი დივიდენდები		(190 000)	(190 000)
რეზერვების შემცირება	(104 126)		(104 126)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	584 721	584 721
სულ წლის სრული შემოსავალი		162 176	162 176
გადახდილი დივიდენდები		(0)	(0)
რეზერვების ზრდა	306 627		306 627
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	306 627	746 897	1 053 524

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 20 აგვისტოს.

გიორგი ბუთხაშვილი

ანზორ ცხვირაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი -----

ბუღალტერი -----

2020 წლის 20 აგვისტო

2020 წლის 20 აგვისტო

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

5-17 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ძმები“ დაფუძნებულია 2010 წლის 13 აგვისტოს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 400007078. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი ბესიკ ბუთხაშვილი (პ/ნ 16001001839).

შპს „ძმები“-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, არბოს ქ. კორ. №20 „ბ“, ბინა №69. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი ბესიკ ბუთხაშვილი (პ/ნ 16001001839).

კომპანიაში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 9 თანამშრომელი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9 თანამშრომელი. წლის განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 9 თანამშრომელს.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, კომპანიამ მოამზადა საწყისი ფინანსური ანგარიშგება, მსს ფასს-ის საფუძველზე, 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ყველა ის მიდგომა და პოლიტიკა, რომლებიც მოსალოდნელი იყო, რომ ძალაში იქნებოდა კომპანიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2019	2018	
1 USD/GEL	2.8192	2.5345	

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა დაუბრუნებელ გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20
ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;

3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;

4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

2.4 მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, ხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების

პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა ან შემოსავლად აღიარება.

კომპანიის მარაგებს წარმოადგენს პროდუქცია საცალო ვაჭრობისათვის და მათი ჩამოწერის დროს ჩამოწერის თანხა შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილს.

2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მიწოდებული საქონლის ღირებულებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

2.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება

გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას. კომპანიის გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს საქონლის მომწოდებელი კომპანიებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები.

2.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და თანხებს საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისა და სარეზერვო კაპიტალისაგან. პარტნიორის გადაწყვეტილებით კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა. დივიდენდები აღრიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. კომპანიას 2019 წლის განმავლობაში დივიდენდი გაცხადებული არ აქვს.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებელთან არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.

2.11 სესხები

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახადელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა ან/და ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველაწარმოადგილი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

2.12 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაწუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობის ობიექტებიდან და სადისტრიბუციო კომპანიებიდან მიღებული პროდუქციის ღირებულებას. იგი რეალიზაციისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

2.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ დაქირავებულ პირებზე, მათ შორის დირექტორზე გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას. დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურებად ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

2.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური გარემო შექმნილი ვითარების გამო, გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანია მომხმარებლების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	შენობები	ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	30 000	180 673	1 017	211 690
შესყიდვები				
ჩამოწერა/გაყიდვა			(0)	(0)
ცვეთის ხარჯი		(9509)	(254)	(9763)
გასული ძირ. საშუალებების ცვეთა			0	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	30 000	171 164	763	201 927
შესყიდვები				
ჩამოწერა/გაყიდვა			(0)	(0)
ცვეთის ხარჯი		(9509)	(254)	(9763)
გასული ძირ. საშუალებების ცვეთა			0	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	30 000	161 655	509	192 164

წმინდა საბალანსო ღირებულება:

ნაშთი 31 დეკემბერი 2017	30 000	180 673	1 017	211 690
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	30 000	171 164	763	201 927
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	30 000	161 655	509	192 164

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონება არ არის დატვირთული გირავნობა/იპოთეკით.

5. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
საქონელი	2 297 961	1 804 811	1 444 366
სხვა მარაგები	0	0	0
სულ მარაგები	2 297 961	1 804 811	1 444 366

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები	151 843	137 501	81 038
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(49 479)	(44752)	-
გადახდილი ავანსები	35 336	316	110
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	137 700	93 065	81 038

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული ლარებში	5 990	4 525	0
ლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	36 002	34 433	31 523
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	200	1 311	491
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	42 192	40 269	32 014

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	669 864	1 061 265	1 007 089
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	716 595	0	0
სულ სასესხო ვალდებულებები:	1 386 459	1 061 265	1 007 089

9. ამონაგები

2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის შემოსავლები შედგებოდა შემდეგისგან:

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 902 715	3 600 374
შემოსავალი მომსახურებიდან	1 493	3 561
სხვა საოპერაციო შემოსავლები	1 036	8 664
სულ ამონაგები:	3 905 244	3 612 599

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	31.12.2019	31.12.2018
პერსონალის ხარჯები	58 500	54 000
იჯარის ხარჯი	73 115	41 573
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	6 164	6 811
სამეურნეო ხარჯები	0	0
დაზღვევის ხარჯები	3 444	3 310
ოფისის ხარჯი	0	661
საბანკო მომსახურების ხარჯი	25 725	17 967
ცვეთა და ამორტიზაცია	9 763	9 763
საგადასახადო ხარჯები	2 912	2 194
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13 768	28 123
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	4 728	44 752
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	198 119	209 154

11. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

შპს „მმეზი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	102 364	92 749	81 038
ფული და ფულის ექვივალენტები	42 192	40 269	32 014
სულ საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული ფინანსური ინსტრუმენტები:	144 556	133 018	113 052

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

12. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ

შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

კომპანიას 2019 წელს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები არ განუხორციელებია.

14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს, რაც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს, კერძოდ:

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამასთან, ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე, ჯერ კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს.

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2020 წლის 26 ივნისის #17232 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 26 ივნისიდან მიმდინარეობს კომპანიის საქმიანობის გასვლითი საგადასახადო შემოწმება. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად დამტკიცების და მენეჯმენტის მიერ ხელმოწერის თარიღისთვის შემოწმების პროცესი არ არის დასრულებული. ამ ეტაპისთვის უცნობია შემოწმების შედეგები და შესაბამისი გავლენა ფინანსური ანგარიშგების ცალკეულ მუხლებზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2020 წლის 24 ივლისს კომპანიამ გაანაწილა 164 383 ლარის დივიდენდი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.